

ქ. თბილისი
26 ივნისი, 2020 წ.

ესწრებოდნენ:

ნინო ციციშვილი - „ტელეკომპანია პირველი“-ს იურისტი;
გიორგი დარჯანია - „ტელეკომპანია პირველი“-ს მულტიმედია არხების ხელმძღვანელი;
ლევან კირვალიძე - გადაცემა „რეაქციის“ პროდიუსერი.

დღის წესრიგი:

შპს „ბევრილი ჯგუფის“ საჩივრის განხილვა.

მოსმინეს:

ნინო ციციშვილმა კომისიის წევრებს გააცნო შპს „ბევრილი ჯგუფის“ საჩივარი, რომელიც ეხებოდა 2020 წლის 11 ივნისს, ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში გასულ სიუჟეტს, პარტია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატის, გოდერძი ჩანქსელიანის ოჯახის ბიზნესთან დაკავშირებით.

საჩივარი გამოგზავნილია ფოსტით, რომელიც ტელეკომპანიის ადმინისტრაციას ჩაბარდა 2020 წლის 19 ივნისს.

კომისიის წევრებმა ტელეკომპანიის არქივიდან გამოითხოვეს მასალები, დეტალურად განიხილეს საჩივარში მითითებული სიუჟეტი და შეაჯამეს ფაქტობრივი გარემოებები.

საჩივრის ავტორი უთითებს საჯაროდ ხელმოსაწვდომ ინფორმაციაზე, რომელიც ზედაპირზეა და მარტივად მოსაპოვებელი, თუმცა საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს სწორედ ის ინფორმაცია და ის გარემოებები, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს და რომელიც კითხვის ნიშანს აჩენს სახელმწიფო სახსრების მიზნობრივად გამოყენებასთან დაკავშირებით. რადგან ეს თითოეულ მოქალაქეს უშუალოდ ეხება, უმნიშვნელოვანესია ტელევიზიის როლი მოსახლეობის პრობლემის წარმოჩენასა და მათ დროულ ინფორმირებაში. საგამოძიებო ჟურნალისტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს გამოავლინოს ისეთი ფაქტები და შესაძლო დარღვევები, რომელიც კორუფციულ გარიგებებს, უფლებამოსილების შესაძლო გადაჭარბებას ან სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვას ამხელს. ასეთ დროს, მხოლოდ საჯარო რეესტრის ამონაწერი ან ოფიციალურად ხელმისაწვდომი ინფორმაცია, ცხადია, არ არის საკმარისი.

ბნ. გოდერძი ჩანქსელიანი „ტელეკომპანია პირველისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საუბრობს კომპანიის სახელით (პირველ პირში), მაშინ როდესაც ადასტურებს თანხის მიღებასა და რუსეთიდან ხორბლის შესყიდვას. მის მიერ არ მომხდარა ხაზგასმა იმ გარემოებაზე, რომ თავად არ არის დაკავშირებული შპს „ბევრილი ჯგუფთან“ და კომპანია მის ძმას ეკუთვნის. აღნიშნულიდან გამომდინარე საჩივრის ავტორის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ცრუ ინფორმაციაა გოდერძი ჩანქსელიანის კავშირი კომპანიასთან არ შეესაბამება სიმართლეს და აღნიშნული ქარწყლდება ბნ. გოდერძი ჩანქსელიანის მიერ ზემოაღნიშნული საკითხების დადასტურებით.

რაც შეეხება ასევე კონკრეტულ პროცენტულ მაჩვენებელზე მითითებას, სიუჟეტის წარდგენაში წამყვანების მიერ არასწორად ხდება პროცენტების გაყდერება, თუმცა აღნიშნული აღმოფხვრილია სიუჟეტის მიმდინარეობისთანავე, რადგან უშუალოდ სიუჟეტის ავტორი ანა ახალაია არაერთხელ უთითებს, რომ ბევრილი ჯგუფი წარმოადგენს დეპუტატის ოჯახის კომპანიას, რაც თავის მხრივ არ წარმოადგენს სადავო საკითხს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციის სარწმუნოობისა და სათანადო გადამოწმების შემდგომ მოხდა ინფორმაციის გავრცელება. თვითრეგულირების კომისია ადგენს, რომ არ დარღვეულა მაუწყებელთა შესახებ კანონის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნები და ჟურნალისტური ეთიკის პრინციპები. ტელეკომპანია პირველს საჯაროდ აქვს გაცხადებული ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების განუხრელად დაცვა და პატივისცემა მის სარედაქციო პოლიტიკაში.

თვითრეგულირების კომისია ასკვნის, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს შპს „ბევრილი ჯგუფის“ მოთხოვნა, ვინაიდან დარღვევებს ადგილი არ ჰქონიდა და ჟურნალისტები მოქმედებდნენ კანონის ფარგლებში, ამასთან საჩივრის ავტორის მიერ მოწოდებული გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია სცდება საჩივრის ფარგლებს და მიუთითებს შპს „ბევრილი ჯგუფთან“ დაკავშირებულ სხვა ფაქტებზე, რაც არ წარმოადგენს ინტერესის საგანს და მიზნად ისახავს კომპანიასთან დაკავშირებით მხოლოდ დამატებითი ცნობების მოწოდებას.

ნინო ციციშვილი

გიორგი დარჯანია

ლევან კირვალიძე